პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 17 ნოემბერი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ. — თვიურად

# წითელი არმიელი

261 (959) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კაპ. სტრ.

## წითელ არმიელი და საბჭოების ხელახალი არჩევნები.

მომავალი წლის იანვრის თვეში მთელ საქართველოში მოხდება საბჭოების ხელახალი არჩევნები. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიზანია, რათა ეს არჩევნები ჩატარდეს რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერობით. ეს კი შესაძლებელია იმ პირობით, თუ არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ფართო მშრომელთა მასები.

მაშინ ახალი საბჭოც საქმიანი, უნარიანი და მშრომელი ხალხის ინტერესების საუკეთესო გამომხატველი და დამცველი იქნება.

რომ არჩევნები წარმატებით ჩატარდეს, რომ მასში მიზიდულ იქნას მშრომელთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი, ამ მიზნით მიმდინარე ნოემბრის და დეკემბრის თვეებში ჩატარებული იქნება წინასწარი მოსამზადებელი კამპანია.

ამ კამპანიის დროს ადგილებზე თემის და მაზრის აღმასკომები მშრომელ ამრჩევლებს გაუკეთებენ ვრცელ მოხსენებებს თავის მუშაობის და მოღვაწეობის შესახებ. აგრეთვე ფართედ გაშუქებული იქნება კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ის ამოცანები, რომლებიც მიმართული არიან მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცებისაკენ, მშრომელი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განვითარებისაკენ.

ამ მოსამზადებელ საარჩევნო კამპანიაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ჩვენი ძირითადი ნაწილების წითელ არმიელებმა და ცვალებადელებმაც. მათ თავის წრეებში, თუ პირადი საუბრის დროს შინაარსიანად, გასაგები ენით უნდა განუმარტონ გლეხებს მომავალი არჩევნების მნიშვნელობა, აუხსნან არჩევნების წესი, საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის მორიგი ამოცანები საბჭოთა აღმშენებლობის დარგში და მიმართონ მათ (გლეხებს) მოწოდებით ენერგიული მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. წითელ არმიელებმა აგრეთვე უნდა მოუწოდონ მშრომელებს, რათა მათ საბჭოებში გაიყვანონ კომუნისტები და პატიოსანი, საქმიანი, საიმედო უპარტიონი.

წითელ არმიელო! კარგად გაეცანი არჩევნების წესებს. დაეხმარე საბჭოთა ხელისუფლებას და კომპარტიას არჩევნების ნაყოფიერად ჩატარებაში.

## ახალი გეგმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შესახებ.

სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება სასოფლო—სამეურნეო გადასახადებისა და ამ ნიადაგზე შექმნილ გაუგებრობას, შესცვალა გადასახადების ძველი სისტემა და შემოიღო ახალი, ძლიერ შემცირებული გადასახადი.

საბჭოთა ხელისუფლების დღითი-დღე განმტკიცება—გამაგრებასთან ერთად თანდათანობით შემცირებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. 1924—5 წლებში ეს გადასახადი შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 10 პროცენტს. გადასახადი კიდევ უფრო შემცირდა 1925—26 წლებშიც, მიუხედავათ კარგი მოსავლისა.

გლეხობა ამ ჟამამდ ძლიერ კმაყოფილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, რადგან ეხლა ადგილი აღარ აქვს გაუგებრობას ამ დარგში. ამასთანავე ერთად ეხლა უკვე საგრძნობია ის შეღავათები, რომელიც მიენიჭათ სათანადო დადგენილებით უღარიბეს გლეხებს, რაიმე უბედურ შემთხვევების გამო დაზარალებულთ და წითელ არმიელთა ოჯახებს. გლეხობა დღეს ხედავს, რომ ეხლანდელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნახევარი რჩება ადგილობრივ, რომელიც უნდა მოხმარდეს მათივე საჭიროებებს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადების თანდათანობით მოწესრიგებასა და შემცირებასთან ერთად ნაკლი მაინც არის ამ სისტემაში, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

დღემდე სასოფლო-სამეურნეო გადასახადს საფუძვლად ედვა სახნავი მიწა ან ის შემოსავალი, რომლის განსაზღვრა შეიძლებოდა გარეგნული ნიშნებით.

ამის გამო ბევრ შემთხვევაში უფრო ღარიბი ანუ საშუალო შეძლების გლეხი—მიწის მქონე იბეგრებოდა მეტით, ვიდრე მისი მეზობელი მდიდარი გლეხი, რომელსაც, შეიძლება მიწა ცოტა ქონდა, მხოლოდ სხვა შემოსავლი წყარო კი უფრო მეტი. ამ კანონით უფრო იგებდა მდიდარი გლეხი.

ამ ნიადაგზე ეხლა ადგილი აქვს უკმაყოფილებას გლეხობის საგრძნობ ნაწილში—საშუალო შეძლების გლეხებში, რადგან ისინი კარგად ხედავენ რომ ღარიბ გლეხს ცოტას ახდევინებენ ან სულ ათავისუფლებენ სას.-სამ. გადასახადისაგან და ამავე დროს ამდენსავე ცოტას იხდის მისი მეზობელი შეძლებული გლეხი კულაკი.

ამ მნიშვნელოვან და სერიოზულ მოვლენას ყურადღება მიაქცია საბჭოთა ხელისუფლებამ და მომავალი 1926—27 წლებისათვის შეიმუშავა ახალი გეგმა, რომლის თანახმად გლეხობის 30 პროცენტი სრულიად განთავისუფლებულ უნდა იქნას სას.-სამეურ. გადასახადისაგან, 60 პროცენტმა უნდა გადაიხადოს მთელი თავისი სამეურნეო შემოსავლის 2-დან 10 პროცენტამდე, და დანარჩენი 10 პროცენტმა უნდა გადაიხადოს 5—16 პროცენტამდე.

ახალი გეგმის თანახმად სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სიმძიმე შემდეგში უნდა დააწვეს შეძლებულ გლეხებს-მეურნეებს, შეუმცირდეს გადასახადი საშუალო შეძლების გლეხობას და სრულიად განთავისუფლდენ უღარიბესი გლეხები.

ასე ამ რიგად მომავალ საგადასახადო წელში ამ გეგმის თანახმად მოისპობა ყოველგვარი გაუგებრობა ამ დარგში, გაიზრდება სახელმწიფოს შემოსავალი და რაც მთავარია, საშუალება მიეცემა წვრილ მეურნეებს გააუმჯობესონ და გააფართოვონ თავიანთი სასოფლო-მეურნეობა.

ემი.

# ახალი რადიო-ამბები

## უნგრეთის კომუნისტების საქმე.



ამხ. რაკოში.

14 ნოემბერს უნგრეთის საგანგებო ტრიბუნალში მოულოდნელად დაიწყო კომუნისტების—რაკოშის, ვეინბერგის, კარლ ერისა და სხვების გასამართლება. სასამართლოს შენობას იცავს პოლიციის გაძლიერებული რაზმი. საბრალდებლო ოქმი მიეცა ბრალდებულებს მხოლოდ წინა დღით. ამის შესახებ დამცველებმა პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს სხდომის გადადება, რათა ისინი გაეცნონ ოქმის შინაარსს.

რაკოშიმ განაცხადა, რომ ის უარყოფს წინად მიცემულ ჩვენებას, ვინაიდან მის ამხანაგებს სასტიკად აწამებდა პოლიცია და ის იძულებული იყო მიეცა არა სწორი ჩვენება.

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### ფრონტებზე მდგომარეობა გართულდა.

### მუკდენში საალყო წესების გამოცხადებული.

**მუკდენის განაპირა ადგილებიდან თანდათან გადიან ჩჟან-ძო-ლინის ჯარები.**

ფრონტებზე მდგომარეობა გართულდა. ბანკირები და ვაჭრები გადიან მუკდენის ჩინეთის ნაწილიდან.

ქალაქში სამხედრო წესებია. ფულის კურსი ერთი-ორად დაეცა. მუკდენის პროვინციებს თანდათან სტოვებენ ჩჟან-ძო-ლინის ჯარები.

— იაპონელებს გაუცრუვდათ იმედი, რომ პრეზიდენტ დუან-ცზი-ჩჟუი გადადგომამდი მისცემდა ჩან-ძო-ლინს მანდატს უ-პეი-ფუს წინააღმდეგ ბრძოლისთვის. მაგრამ პეკინში ფინ-იუი-სიანმა ერთბაშად ჩაიგდო ძალა-უფლება ხელში; ამის გამო პრეზიდენტს აღარ დაურჩა საშუალება გაეგზავნა ცნობები თავის გადადგომის შესახებ.

## საბაჟო კონფერენციის გარშემო.

### საბაჟო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის კავშირი.

### უცხოელები სცდილობენ ახალი მოთხოვნილებანი მოახვიონ თავს ჩინეთს.

— როგორც გადმოგვცემენ ამერიკისა და იაპონიის დელეგატებს შორის (საბაჟო კონფერენციაზე) ურთიერთობა გართულებულია.

პეკინის უნივერსიტეტის პროფესორებმა დაარსეს ბრძოლის კავშირი საბაჟო დამოუკიდებლობისთვის.

ამერიკისა და იაპონიის დელეგატებს სურთ თავს მოახვიონ ჩინეთს ახალი მოთხოვნილებანი.

მთავარი საკითხი, რომელსაც მოითხოვს ჩინეთის დელეგაცია—ეს არის ჩინეთის საბაჟო დამოუკიდებლობის სრული ცნობა. სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება, არავითარი შეთანხმება სხვა საკითხში არ მოხდება.

## ავსტრიის სოციალ დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

### ჩემი შენ გითხარი, ანუ მენშევიკ დანის განცხადება.

ავსტრიაში გაიხსნა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. მეორე ინტერნაციონალის სახელით ილაპარაკა ფრიდრიხ ადლერმა. მან განაცხადა, რომ მსოფლიო რევოლიუციის ბოლშევიკური გაგება „ყალბია".

გერმანიის სოც.-დემ. პარტიის სახელით ილაპარაკა ჰილფერდინგმა, რომელმაც განაცხადა, რომ ლოკარნოს კონფერენცია სოციალ-დემოკრატების მსოფლიო პოლიტიკის გამარჯვებაათ.

რუსეთის რევოლიუციის შესახებ ილაპარაკა მენშევიკ დანმა, რომელმაც რუსეთის რევოლიუციას უწოდა ბურჟუაზიული და, რომ მენშევიკები სცდილობენ ეს რევოლიუცია გადაიქცეს დემოკრატიულ რევოლიუციადო.

საყურადღებოა ის, რომ კაუცკის არაფერი უთქვამს როგორც კომუნიზმის, ისე საბჭოთა კავშირის შესახებ.

## პილსუდსკი მოითხოვს პოლონეთის სამხედრო მინისტრის გადაყენებას.

პილსუდსკიმ გადასცა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს განცხადება, რომელშიაც მოითხოვს პოლონეთის სამხედრო მინისტრის სიკორსკის გადაყენებას. პრეზიდენტი შეეკითხა პილსუდსკის კანდიდატის შესახებ სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე. პილსუდსკიმ განაცხადა, რომ მას შეუძლია ამის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ მაშინ, როცა გაიგებს—ვის მიენდობა მთავრობის შედგენა.

## პენლევეს საფინანსო გეგმა.

საფრანგეთის მთავრობის საფინანსო კომისიამ დაასრულა ფინანსიური გეგმის პირველი თავის განხილვა. ამ დროს განმავლობაში კომისიაში მიღებულ იქნა კანონპროექტის ახალი გეგმა რამოდენიმე ცვლილებით, რაიც მოითხოვს სერიოზულ განხილვას.

ამის გამო კომისიამ შესწყვიტა მუშაობა და მიიწვია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პენლევე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რიზა-ხანის მომხრეების კამპანია.

რიზა-ხანის მომხრეებმა ისფაჰანში და ბუშირში თავრიზის მომხრეების მოწოდების შემდეგ გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც მოითხოვენ რიზა-ხანის შახად გამოცხადებას.

## ფაშისტური კანონები.

იტალიის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა პრემიერ-მინისტრის უფლების შესახებ კანონ-პროექტი. პრემიერი პასუხისმგებელია კოროლის წინაშე. მინისტრი მტკიცდება თანამდებობაზე პრემიერის წარდგენით. პრემიერის ნებადაურთველად არცერთი კანონპროექტის განხილვა არ შეიძლება პალატის და სენატის მიერ. პრემიერის მოკვლის განზრახვისთვის დამნაშავე ისჯება კატორღით; სიტყვით ან საქმით შეურაცხყოფისთვის—30 თვის ციხით.

## საქართველოში.

### მოსალოდნელია ძლიერი ქარიშხალი.

ბათუმის ნავთსადგურის ამინდის გამომკვლევ სადგურის ცნობით ბათუმის სანაპიროებში 18 და 19 ნოემბერს მოსალოდნელია ძლიერი ქარიშხალი და ზღვის ღელვა.

## როგორ უნდა ვაწარმოოთ პარტიაში მიღება.

პარტიაში მიღების დროს ყოველგვარი ფორმალური მხარეების დაცვის გარდა არის კიდევ გამოსარკვევი უფრო მეტად საყურადღებო მომენტი. ეს არის პარტიაში შემომსვლელის პოლიტიკური მომზადების საკითხი. ამ საკითხისადმი ყოველთვის მეტი ყურადღება უნდა იყოს მიპყრობილი. იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომელსაც ჩვენ უყენებდით შემომსვლელთ, არ უნდა ჩაითვალოს საკმარისად.

რასაკვირველია, ორგანიზაციამ, რომელიც ღებულობს პარტიაში წევრს, ყოველთვის ანგარიშს უნდა უწევდეს მის სოციალურ მდგომარეობას. მაგრამ მან ამავე დროს ანგარიში უნდა გაუწიოს იმას თუ რა მოვალეობას ასრულებს შემომსვლელი ამ ჟამად, ერთნაირ ფარგლებში ვერ მოვაქცევთ იმ პირებს, რომელსაც სოფლის სკოლა დაუსრულებია და პარტიაში შემოსვლამდი იქვე ეწეოდა მეურნეობას, და მეორე მხრივ იმ პირებს, რომლებიც სკოლის დასრულების შემდეგ გასაბჭოებამდე ან შემდეგ მოშორებული იყვნენ სოფლის ცხოვრებას, მსახურებდნენ ანდა სწავლობდნენ სპეციალურ სასწავლებლებში. ერთი სიტყვით ამ კითხვის გადაჭრას, პარტიაში მიღების დროს, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგში. პარტ-კომისიას ბევრი შემთხვევები ქონდა გამოცდების დროს გამოერკვია ამა თუ იმ პირის პოლიტიკური მომზადება და ზოგიერთ შემთხვევაში ისეთ შთაბეჭდილებას იღებდა რომ პარტიაში შემომსვლელი ამხანაგი დასმულ კითხვებზე თითქოს მექანიკურათ იძლეოდა პასუხს.

მაგალითად ერთს კითხვაზედ რომ გიპასუხებს, შემდეგ კითხვებზედ კი იბნევა და თავს იმით იმართლებს, რომ მას თითქოს წაკითხული აქვს, მაგრამ მეხსიერების სისუსტის გამო ყველა წაკითხულს ვერ იმახსოვრებს.

ამ შემთხვევაში ჩვენ ასე ვეტყვით ასეთ ამხანაგებს, რაც არ წაგიკითხავთ არაფერი დაგამახსოვრდებათ, აბა რატომ ხდება ის რომ ზოგ კითხვაზედ კარგად უპასუხებენ.

იმიტომ, რომ მას წაუკითხავს და დამახსოვრებია კიდევაც. ამიტომ ყველა ორგანიზაციებმა პარტიაში მიღების დროს ისეთი საკითხები უნდა მისცენ პარტიაში შემომსვლელთ, რომ კითხვებიდანაც უნდა გამოირკვეს, მისი კომუნისტური სახე და მომზადება აქ ჩამოთვლა ყველა იმ კითხვების, რომელიც ადასტურებს პოლიტიკურ მომზადებას ზედმეტათ მიმაჩნია, რადგან ყველა ეს ორგანიზაციამ კარგათ იცის.

გარდა იმისა, რომ პარტიაში მიღების დროს ვთხოვთ პოლიტიკურ ეკონომიას, საბჭოთა კონსტიტუციას და პარტიის ისტორიას, ამას გარდა ისიც უნდა გამოირკვეს, შემომსვლელი კითხულობს სისტემატიურათ გაზეთებს თუ არა. ყველა აღნიშნულ მდგომარეობის გარეშე ჩვენ კიდევ სხვა მდგომარეობასაც უნდა გაუწიოთ ანგარიში.

გასაბჭოების დღიდგან ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ყველა სახელმწიფო ორგანიზაციებს ადგილობრივ აქვს მოწყობილი სამკითხველოები, სადაც ყველას შეუძლია უფასოთ ისარგებლოს ყოველნაირ წიგნებით და ჟურნალ გაზეთებით.

ამ ჟამად არ შეიძლება ისე მიუდგეთ პარტიაში მიღების საკითხს, როგორც ეს ხდებოდა 21—22 წ. შემდეგათ. იმიტომ რომ როგორც ზემოთ ვთქვი ვისაც აინტერესებს პარტიაში შემოსვლა მას საშვალებაც აქვს პოლიტიკური მომზადების. ამიტომ ყველა ორგანიზაციებმა სადაც წყდება პარტიაში მიღების საკითხი კარგათ უნდა გაუწიონ ანგარიში არსებულ პირობებს, კარგათ უნდა აწონდასწონონ პარტიაში შემომსვლელის ღირებულობა და მისი პოლიტიკური მომზადებაც დროა ეს ჭეშმარიტება კარგად შეიგნონ პარტიულ ორგანიზაციებმა და მტკიცედ გაატარონ ცხოვრებაში.

ს. ლომიძე.

## სამხედრო საქმე.

### რა უნდა გააკეთოს მსროლელმა ყოველდღე შაშხანის წესრიგზე შესანახად.

ყოველდღე მეცადინეობაზე გასვლის წინ მსროლელმა უნდა დაათვალიეროს შაშხანა და გაიგოს-ხომ არაა ის დაზიანებული. განსაკუთრებით ყურადღებით უნდა დაათვალიეროს სროლის წინ და ყარაულში წასვლისას.

დათვალიერება უმჯობესია დაიწყოს ზევიდან და დაჰყვეს ქვევით, რათა არც ერთი ნაწილი არ გამორჩეს დაუთვალიერებელი.

პირველ ყოვლისა უნდა დარწმუნდე ხომ არაა მოღუნული ხიშტი, ამიტომ უნდა აიღო შაშხანა და გაუხედო ხიშტს წვეროდან ძგიდეებზე: თუ რომ ძგიდეები სწორი აღმოჩნდა, სჩანს რომ ხიშტი არაა გაღუნილი. შემდეგ უნდა გასინჯო ხომ არ ირყევა ხიშტი და ხომ მაგრად ზის მისი სალტე.

შემდეგ უნდა გასინჯო სანიშნო-ხომ თავის ადგილზეა ის. ამის შემოწმება შეიძლება ნახაზებით, რომლებიც იმყოფება თვით სანიშნოსა და მის ბუდეზე. ორივე ნახაზი თანხვდელი უნდა იყოს. სანიშნოს გასწორება და გამოცვლა შეიძლება იარაღის სახელოსნოში.

შემდეგ უნდა დაათვალიერო კორა: ხომ არაა გაღუნული ჩარჩო, უნდა მოსინჯო ხომ არ ირყევა ის, ჩერდება თუ არა თავის ადგილზე კორას ულელი დაყენების დროს. რომ გაიგო წესრიგზეა თუ არა კორა, უნდა მოჰკიდო ხელი მის ზემო ნაწილს და მისწი-მოსწიო მარჯვნივ და მარცხნივ. დაზიანებული კორა სწორდება სახელოსნოში.

შემდეგ უნდა გასინჯო საკეტისა და მიმწოდები მექანიზმის მუშაობა. ამისთვის უნდა აიღო სასწავლო ვაზნების მჭიდე წინასწარ უნდა გასინჯო ვაზნები და მჭიდე, რომ ისინი სუფთა იყოს და გაუქყლეტი, ჩააწყო ვაზნები, გაუშალო ფეხი და გამოაგდო ვაზნა. თუ რომ საკეტი და მიმწოდები მექანიზმი ვერ არის წესრიგზე—უნდა მოახსენო ათეულის უფროსს. საერთოდ შაშხანის ყოველგვარ ზიანზე, რომლის გასწორება მსროლელს არ შეუძლია, უნდა მოახსენოს ათეულის უფროსს.

შემდეგ გაისინჯება ხის მუდე, ხომ არაა სადმე გაბზარული.

ბოლოს განსაკუთრებით ყურადღებით უნდა აღინიშნოს, ხომ არ აკრავს სადმე ჟანგი. უნდა გვახსოვდეს, რომ ჟანგი ყველაზე ადრე გაჩნდება იმ ადგილას, სადაც ხშირად ეკვრება მტვერი. მაშასადამე, საჭიროა მტვერის ხშირად მოწმენდა. თუ რომ აღმოჩნდება ჟანგი—დაუყონებლივ უნდა მოაშორო ის.

აი რაში მდგომარეობს შაშხანის ყოველდღიური გასინჯვა. თუ რომ მსროლელი ამ წესით დაათვალიერებს ყოველდღირად შაშხანას და მოიქცევა ისე, როგორც აღნიშნული გვაქვს ზემოდ, მას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მისი შაშხანა მუდამ მზა და სავარგისი იქნება ბრძოლისათვის.

პ.

## შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

### რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება.

9 იანვრის ამბები მთელ რუსეთს მოედო. პეტერბურგის ქუჩებში სისხლის ღვრას ახალ-ახალი გაფიცვებით გამოეხმაურა მუშები. გარდა ეკონომიურ მოთხოვნილებისა (სამუშაო დღის შემცირება, სამუშაო ხელფასის მომატება და სხვა) გაფიცულები აყენებენ პოლიტიკურ მოთხოვნილებებს თვით დამფუძნებელ კრების მოწვევამდი.

განსაკუთრებით მხურვალედ გამოეხმაურა 9 იანვრის სისხლის ღვრას იმ დრო რუსეთის შემადგენლობაში შემავალი პოლონეთის მუშები ვარშავაში, ლოძში და სხვა ქალაქებში მუშები გამოვიდენ ქუჩებში იარაღით და ბრძოლა გაუმართეს პოლიციასა და ჯარებს.

მოსკოვში 10 იანვარსვე დაიწყო გაფიცვები და ერთ კვირაზე მეტს გასტანა. გაფიცვების ტალღა გადავიდა კავკასიაში, სამხრეთ რუსეთში, ვოლგას ქალაქებში.

მეფის მთავრობა შეშინდა და შეეცადა მოძრაობის შეჩერებას სხვადასხვა დაპირებებით. მან დანიშნა კიდეც ერთგვარი კომისია და წინადადება მისცა პეტერბურგის მუშებს აერჩიათ ამ კომისიაში თავიანთი დეპუტატები. მუშებმა ამოირჩიეს დეპუტატები, მაგრამ თან წამოაყენეს სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) მიერ შეტანილ წინადადებები მოთხოვნილებებით. მთავრობამ დაინახა, რომ მუშები აღარ ხუმრობენ და გაუშვა კომისია.

საგაფიცვო მოძრაობა თანდათან ფართოვდებოდა.

გამოდიოდენ რა თავიანთ მეპატრონეების წინააღმდეგ, მუშებს ყველგან და ყველას არ ეგონათ, რომ მათი მთავარი მტერი თვითმპყრობლობა იყო. მაგრამ მთავრობის სასტიკმა ზომებმა შეაგნებია ჩამორჩენილ მუშებსაც კი, რომ მთავრობის წინააღმდეგ უბრძოლველად არაფერი გამოვა.

განსაკუთრებული სიმტკიცე გამოიჩინა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებმა, რომელთა გაფიცვები დაიწყო 25 მაისს და დამთავრდა მხოლოდ 1-ლ აგვისტოს. ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებმა ამ გაფიცვების დროს შეჰქმნეს პირველად მუშათა დეპუტატების საბჭო რომელიც ხელმძღვანელობდა გაფიცვებს.

მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა გაფიცულებს. ყაზახები ხვრეტდა მუშათა კრებებს სხვა და სხვა ქალაქებში.

მაგრამ ასეთი ზომა ვერ აჩერებდა საგაფიცვო მოძრაობას. გაფიცვები თანდათან იზრდებოდა, სანამ 1905 წელში არ გადაიქცა საყოველთაო გაფიცვად, რომელმაც სასტიკი ლახვარი ჩასცა თვითმპყრობელობას და გამოჰგლიჯა მეფეს ხელში მანიფესტი სხვა და სხვა თავისუფლების შესახებ.

თითქმის მუშების გაფიცვებთან ერთად დაიწყო გლეხთა მოძრაობაც. სოფელსაც მოედო ხმები პეტერბურგის სისხლის ღვრისა და მუშების გაფიცვების შესახებ.

უმიწოწყლოდ გაწამებულ, მემამულეების გაუმაძღრობით ჩაგრულ და ომით განადგურებულ სოფელმაც დაიწყო აჯანყება მემამულეების წინააღმდეგ.

გლეხთა აჯანყება დაიწყო 1905 წ. თებერვალში კურსკის გუბერნიაში და შემოდგომისთვის მთელ რუსეთს მოედო. გლეხები არბევდენ მემამულეების ქონებას, მიჰქონდათ პური, გაჰყავდათ საქონელი, სწვავდენ მემამულეების სახლებს. ამ გზით გლეხებს სურდათ გაერეკათ მემამულეები თავიანთ მამულებიდან. მასთან საიჯარო მიწებზე მყოფი გლეხები თავის ნებით ხნავდენ მიწებს, უარს ამბობდენ საიჯარო გადასახადზე, იქ სადაც გლეხები დღიურად მუშაობდენ, მოითხოვდენ სამუშაო ხელფასის მომატებას. ბალტიის მხარეში იფიცებოდენ მოჯამაგირეები და წვრილი მოიჯარადრეები.

ასე რომ, იანვრიდან აპრილამდი გლეხთა მოძრაობა მოედო 85 მაზრას, ზაფხულზე—104 მაზრას, ხოლო შემოდგომაზე დეკემბრამდი—261 მაზრას, ე. ი. მთელი რუსეთის მაზრების ნახევარზე მეტს.

მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა გლეხთა მოძრაობას. ყაზარმის მათრახი და დრაგუნის ხმალი დასეირნობდა ნაწამებ გლეხის ზურგზე.

მიუხედავათ გლეხთა აჯანყების გაფართოებისა, მას ახლდა დიდი ნაკლი: გლეხებს არ ჰყოფნიდა პოლიტიკური შეგნება. ისინი, მსგავსად მუშებისა, პირველ ხანებში მემამულეებს გარდა ვერ ხედავდენ თავიანთ მთავარ მტერს—თვითმპყრობლობას. ამიტომ გლეხთა მოძრაობა ერთსა და იმავე დროს არ სწარმოებდა, გლეხებმა არ იცოდენ როგორ და რისთვის შეკავშირებულიყვენ და, რაც მთავარია, არ შეეძლოთ დაეკავშირებიათ თავიანთ მოძრაობა რევოლიუციონურ ქალაქთან.

ბოლშევიკები აფასებდენ გლეხთა მოძრაობის მნიშვნელობას და ურჩევდენ გლეხებს შეექმნათ გლეხთა რევოლიუციონური კომიტეტები. გლეხებმა მხოლოდ შემოდგომისთვის შეჰქმნეს „გლეხთა კავშირი“. მაგრამ კავშირში უმთავრესად შევიდა სოფლის შეძლებული ფენები და ამიტომ ის არ განსხვავდებოდა დიდი რევოლიუციონურობით. აქა-იქ, სადაც სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდენ მოძრაობას, ეს უკანასკნელი განსაკუთრებული შეგნებული და საშიში იყო თვითმპყრობელობისთვის. მაგრამ ასეთი ადგილი ცოტა იყო: რუსეთში—ბალტიის მხარე და ჩვენში, საქართველოში—გურია.

საქართველოში გლეხთა მოძრაობის მთავარი ცენტრები იყო ზესტაფონი და გურია. ამ მოძრაობას წინ უძღოდა მემამულეებზე მიწების ჩამორთმევა, საიჯარო ფულის გადაუხდელობა, გაფიცვები, ბოიკოტის გამოცხადება და მოძრაობის მოწინააღმდეგეთა და ხელისშემშლელთა მკვლელობა. გურიის მოძრაობის პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი. ამ კომიტეტმა ბინა გაიჩინა ოზურგეთში და დაიწყო მოქმედება „გურიის კომიტეტის“ სახელით. კომიტეტმა დაარსა აგრეთვე „სამხედრო შტაბი“, რომელიც აწყობდა ტერორს. ამ კომიტეტმა 1905 წლის 21 ოქტომბერს მოაწყო შეიარაღებული გამოსვლები ნასაკირალზე. აქ რუსეთიდან მეფის მთავრობის მიერ გამოგზავნილი იყო გენერალი გრიაზნოვი, რომლის ეკზეკუციებმა გაანადგურეს და დასწვეს გლეხთა მოსახლეობა გურიაში და ზესტაფონში. შეიპყრეს მრავალი გამოსვლების მონაწილე და მეთაური და სასტიკად გაასამართლეს...

მხოლოდ 1906 წელში ჩამორჩენილ ადგილებშიც გამოიღვიძა გლეხთა რევოლიუციონურ შეგნებამ. მაგრამ უკვე გვიანდა იყო. მუშები უკვე დამარცხებულ იქნა თვითმპყრობლობის მიერ.

მაგრამ 1905 წლის შემოდგომისთვის მუშების მეფესთან ბრძოლას მაინც დიდი დახმარება გაუწია გლეხთა მოძრაობამ და აიძულა თვითმყრობლობა დათმობაზე წასულიყო.

ი. ფ.

## ჩვენც დავინტერესდით.

**1-ლი ლეგ. სამთო ბატარეის ახალწვეულები.**

ნაწილში მოსვლისთანავე მოგვათავსეს კარანტინში და სათანადო გასუფთავების შემდეგ იწყეს ჩვენთან სიარული მეთაურებმა და ძველ წითელ არმიელებმა, რომლებიც გვესაუბრებიან ყაზარმაში მუშაობასა და წითელი ჯარის ამოცანების შესახებ. ჩვენ ვხედავთ რომ ნაწილის ძველი წითელ არმიელები ტყვილა არ იმყოფებიან თავისუფალ დროს, არამედ კითხულობენ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს. ამან იმდენად დიდი გავლენა იქონია ჩვენზე, რომ ჩვენც მოვითხოვეთ ლიტერატურა და კარანტინში ყოფნით უხვად ვსარგებლობთ. წერა-კითხვის უცოდინარები გულმოდგინეთ უსმენენ მათ ვინც კითხვა იცის. ხმამაღალი კითხვა კარანტინში ხშირად სწარმოებს.

დიდ მადლობას უძღვნით საბჭოთა ხელისუფლებას და იმ მეთაურებსა და წითელ არმიელებს, რომლებიც ასე გულმოდგინეთ ეკიდებიან ჩვენი განვითარებასა და მომზადების საქმეს. ჩვენც ვეცდებით ჩვენი მხრივაც გავამართლოთ ჩვენზე დამყარებული იმედები.

გაუმარჯოს ჩვენს ასე გულთბილად მიმღებ წითელ ყაზარმას.

ახალწვეული.

## მე-3 ლეგიონის ბიბლიოთეკის გარშემო.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენი ლეგიონი ახალ ბინაზე გადავიდა. წინედ ბიბლიოთეკისათვის შესაფერი ბინა არ მოგვეპოვებოდა, რაც ძლიერ აფერხებდა საქმეს. ახალ ბინაზე კი მოგვეცა შესაფერი ოთახები. ამ რიგად ზემო აღნიშნული ნაკლი გამოსწორებულია. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ მოგვეპოვება აუცილებელი სახელმძღვანელო წიგნები.

შეძენილია ბიბლიოთეკისათვის საინვენტრო წიგნი სამხკომის დახმარებით. ბიბლიოთეკას ყავს საკმაოდ მოზრდილი რიცხვი მკითხველებისა; მათ შორის წით. არმიელ. 70% და მთელი უფპოლიტშემადგენლობა. ლეგიონში არის 15 ლენკუთხე შესაფერი წიგნებით. ლეგიონი ღებულობს 75 ცალს გაზ. „წითელ არმიელს“ რაც შედარებით ცოტაა. სამკითხველო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე გარდა სამშაბათისა. საჭიროა ზემოაღნიშნულ ნაკლულოვანებებს მიექცეს შესაფერი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

მეთვალყურე.

## ჩვენი ასეულის ცხოვრებიდან.

**2-რე საკავშირო ასეული.**

ასეული ახალ ბინაზე გადმოსვლის შემდეგ შესაფერად მოეწყო, მაგრამ ჯერ კიდევ არის ზოგიერთი რამ ასეულის ცხოვრებაში, რომლებიც სასწრაფოდ მოითხოვენ გამოსწორებას. მაგალითად ასეულს არ აქვს ცალკე გამოყოფილი ბიბლიოთეკა. ის მოთავსებულია ასეულის ლენინის კუთხეში. აქ რაც უნდა იყოს მაინც ხმაურობაა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო სიწყნარე არ არის დაცული. ამას გარდა ჩვენი ბიბლიოთეკა ძლიერ ღარიბია ლიტერატურით, რასაც, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს პოლიტგანყოფილებამ და იზრუნოს სათანადო ლიტერატურის მოწოდებაზე. სამკითხველოს არა აქვს გამოწერილი გაზეთები.

ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავზე გამოვიდა საედლესასწაულო ხასიათის კედლის გაზეთი, რომელიც თავისი შინაარსით და გარეგნული სახითაც ძლიერ მოიკოჭლებდა.

სამნეო დარგში შედარებით კარგად არის დაყენებული საქმე. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სისუფთავის დაცვას წითელ არმიელებში და ყაზარმაში.

იმედია ყურადღება მიექცევა ასეულში-ზემოდაღნიშნულ ნაკლს ვისგანაც ჯერ-არს!

წ. არმ. ჯ.

## მუშაობა ახალ-წვეულებთან.

**1-ლი ლეგიონი.**

ჩვენი ნაწილი უკვე შეივსო ახალწვეულებით, რომლებმაც უკვე მიიღეს ტანისამოსი. ჯერჯერობით მოთავსებული არიან კარანტინში. მეცადინეობა მათთან სისტემატიურად სწარმოებს. ეცნობიან კარანტინის მნიშვნელობას, იმართება საუბრები პოლიტიკურ საკითხებზე და სწავლობენ სამხედრო წესრიგს.

ახალწვეულები გულდასმით უსმენენ ყველაფერს, მიუხედავათ იმისა, რომ წერა-კითხვა ბევრმა არ იცის. სწავლის სურვილი ყველას დიდი აქვს. უფპოლიტშემადგენელთა ყურადღებაც იქითკენ არის მიპყრობილი, რათა გაუღვივონ ყველაფერი.

უსურვებთ მეთაურებსა და ახალწვეულებს ნაყოფიერ მუშაობას, რომ პირნათლათ შეესრულებიოთ თავიანთი ვალი მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე.

წ, არმ. დედანა.

## ვებრძვით წერა-კითხვის უცოდინარობას

**წვევამდელთა შორის.**

**მე-6 ლეგ. მე-3 ათასეული.**

ჩვენმა ათასეულმა თელავის მაზრაში მოახდინა 1904 და 1905 წელში დაბადებულ წერა-კითხვის უცოდინარ ახალგაზრდობის აღრიცხვა, რომ აქედანვე ვიცოდეთ თუ ვისთან გვექნება საქმე და როგორ ზომებს უნდა მივმართოდ მათში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. სტატისტიკურმა ცნობებმა ძლიერ სავალალო შედეგების წინაშე დაგვაყენა. თელავის მაზრის კულტურულად ჩამორჩენილობა ნათლად გამოაშკარავდა მიღებულ ციფრებში.

თელავში და კურდღელაურის რაიონში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი აღნიშნულ წლებში დაბადებულებიდან აღწევს 56 კაცამდე, წინანდალის რაიონში—130 კაცი 1904 დაბ. და 80 კაცი, 1905 დაბადებულებიდან. იყალთოს რაიონი 1904 დაბ.—59 ხუთში კი 72; ახმეტის 77 ოთხში და 49 ხუთში; ფშაველის რაიონში 70 კაც. ოთხში და 60 კაც. ხუთში, ენისელის რაიონში 118 კაც. ოთხში და 99 კაც. ხუთში; ახალისოფლის რაიონში 62 კ. ოთხში და 42 კაც. ხუთში.

ამნაირად აღნიშნულ რაიონების 1904 წ. დაბადებულ წერა-კითხვის უცოდინართა საერთო რიცხვი აღწევს 579 კაცამდე, ხოლო 1905 დაბ. კი 402; სულ ორივე წლებში 974 კაცამდე.

ამ ცნობების შემდეგ უფრო გავაცხოველეთ კავშირი ადგილობრივ პოლიტგანთან და შესაფერი ზომებიც მივიღეთ, მაგრამ საჭიროა დაგვეხმაროს ამ საქმეში ვისაც ეს ეხება, რომ მუშაობამ უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს.

დ. ჭანკვეტაძე.

## სალამი ახალ უმცროს მეთაურებს

**მე-6 ტერ. ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლის გამოშვების გამო.**

დღეს მე-6 ტერლეგიონის სკოლა უშვებს უმცროს მეთაურებს, რომლებიც 7 თვის განმავლობაში სწავლობდენ ენერგიულად სამხედრო საქმეს და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას, რომ შესაფერი ცოდნით დაუბრუნებოდენ თავის ნაწილებს და გაათკეცებული ენერგიით, გაათკეცებული ნებისყოფით შეუდგენ მუშაობას იმ წითელ ლაშქრის რიგებში, რომელსაც ისტორიამ დააკისრა მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაცვა.

ახალ მეთაურებს მართებთ ფოლადისებური სიმტკიცით და დაუღალავი ენერგიით, აქტიური მუშაობის წარმოება წითელ ლაშქრის განსამტკიცებლად.

უსურვებთ ამხანაგებს პირნათლად შეესრულებიოთ მათი მოვალეობა და მით შეურყეველი და მტკიცე გუშაგებათ ყოფილიყვენ დიდი ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავად.

ალ. თორაძე.

## სამხკორთა შენიშვნებიდან.

### ახალი ექიმი ენერგიულად მუშაობს.

**სამხედრო ჰოსპიტალი.**

ამ უკანასკნელ ხანებში საავადმყოფოში მოავლინეს პრაქტიკანტად ექიმი რემითნოვი, რომელიც იშვიათი მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდება თავის ავადმყოფებს. ყოველ მეორე დღეს ამხანაგი ატარებს ავათმყოფებში საუბარს იმაზე, თუ როგორ ჩნდებიან სხვა და სხვა სნეულებანი. იმედია ამხანაგი არ შეასუსტებს თავის მუშაობას და კიდევ უფრო ენერგიულად გააგრძელებს მას.

სამხკორი ვ. დაშნიანი.

### ერთი იყოს და კარგი.

**ცხენ. ლეგ. 2-რე ესკადრ. ლენკუთხე.**

ესკადრონის ლენინის კუთხეში ხუთი ელექტრო სანათურია, მაგრამ არც ერთი არ იძლევა იმდენ სინათლეს, რომ შეიძლებოდეს კითხვის წარმოება. საჭიროა ისე მოაგვარებდენ საქმეს, რომ განათლდეს კუთხე. შეუძლებელია ასეთ მდგომარეობაში კუთხეში მუშაობა.

სამხკორი მერქელა.

### ამასაც მიაქციონ უნდა ყურადღება

**1-ლი არტლეგიონი.**

ჩვენს ნაწილში ექიმები ხშირად ატარებენ საუბრებს ვენერიული ავადმყოფობის შესახებ, რაც ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს წ. არმიელებზე.

მაგრამ ამხ. ექიმებმა საჭიროა ყურადღება მიაქციონ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს წითელ-არმიელებისათვის ალკოგოლის მავნებლობის შესახებ საუბრებსაც. კარგია ამაზედაც გაგვიმართავდენ ბაასს.

სამხკორი ა—ი.

## გამოასწორეთ ნაკლულევანებანი

### მოგვეცით ჩაის სასმელი „კრუშკები“.

**ცხენ. ლეგიონი.**

ლეგიონის წ. არმიელები უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან ყოველი ჩაის დალევის დროს. ესკადრონებში არა გვაქვს კრუშკები. ამხანაგების მესამედიც კი ვერ ასწრებს ჩაის დალევას, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

დროა სამნეო ნაწილის უფროსმა მოაგვაროს ეს საქმე.

სამხკორი ჩახაია.

### არა გვაქვს საათი.

**1-ლი არტლეგიონი.**

არა ერთხელ იყო აღნიშნული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რომ ლეგიონის სამორიგოში არ არის საათი, რის გამო ყოველთვის გაუგებრობას აქვს ადგილი განწესებაში გასვლის დროს.

მიუხედავად ამისა ყურს არავინ იბერტყს და ისევ ამ მდგომარეობაში ვართ. რა გასჭირდა ერთი საათის შეძენა ასე? მოგვეცით საათი.

### მოაწყვეთ სასადილო.

**4-ხე ლეგ. 6-ხე ასეული.**

ჩვენი ასეული წერტზე ჩასვლისთანავე სათანადოთ მოეწყო, მაგრამ ერთი ნაკლის გამოსწორებას მაინც არაფერი ეშველა. აქამდე სასადილოში არა გვაქვს მაგიდები, სკამები და სხვა.

ჩვენმა უფროსებმა მიმართეს დახმარების აღმოსაჩენად ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ დღემდე ყურადღებას არ გვაქცევენ. საჭიროა დაგვეხმარონ და დროზე დააკმაყოფილონ ჩვენი აუცილებელი საჭიროებანი.

წ. არმ. ა—ია.

# პარტიული ცხოვრება

## სამხ. მეთაურთა სკოლის 1-ლი კომუჯრედი.

13 ნოემბერს შესდგა სკოლის პირველი კომუჯრედის გაფართოებული კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენებები პარტიის ცეკას პლენუმის შესახებ, მომხსენებელი იყო ამხ. გვეღესიანი, რომელმაც ვრცლად გააშუქა პლენუმზე ამხ. მოლოტოვის მოხსენების მთავარი მომენტები. აღნიშნული იქნა ცეკას პლენუმის ხაზი, პროლეტარიატის გლეხობაზე ხელმძღვანელობის და წინასწარ მუშაობის წარმოების, რათა უღარიბესი და საშუალო გლეხობა შემოკრებილი იქნენ პარტიის ირგვლივ. ამხ.-გმა ხაზი გაუსვა აგრეთვე გლეხკომების მუშაობას, რომელიც ხელს უწყობს გლეხობის გააქტივების საქმეს.

იყო აგრეთვე თანამოხსენება, საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინების შესახებ, სადაც ხაზი გაუსვა უმთავრესად კოოპერაციის მდგომარეობას და ბოროტ ელემენტების წინააღმდეგ მიღებულ ზომებს.

პურის მოსვლის რაოდენობა, მისი ბაზარზე გატანის საკითხი და სამეურნეო იარაღების შეძენის შესახებ.

მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო თვალსაჩინოთ გახადა მოხსენება. შემდეგ გარჩეულ იქნა ზოგიერთ ამხანაგების განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ, რომელთაგან ზოგიერთი დაკმაყოფილებული იქნა.

პარტკორი ვ. პარკოსაძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

**ცხ. ლეგ. 1-ლი ესკადრონი.**

19 დეკემბერს მოხდა ესკადრონის ახკომკავშირელთა ჯგუფის კრება, რომელზედაც კავშირის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. დიდიძე. ამხ. ვრცლად შეეხო კავშირის ზრდასა და განვითარების შესახებ. თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩახაია, რომელმაც აღნიშნა ესკადრონში კავშირის ჯგუფის დაარსების აუცილებლობა, რასაც კრება ერთხმად კმაყოფილებით შეხვდა.

იქვე არჩეული იქნენ ჯგუფის უჯრედის წევრები და პასუხისმგებელი მდივანი, რომელსაც უსურვეთ ენერგიული მუშაობა. მიმდინარე საკითხებში გაირჩა ზოგიერთი საყურადღებო კითხვები.

სამხკორი პ. ქახიძე

## ახკომკავშირელთა შორის.

14 ნოემბერს შესდგა სკოლის მეოთხე ახკომკავშირის ჯგუფის გაერთიანებული კრება. მოსმენილი იქნა მოხსენება კომკავშირის ამოცანების შესახებ.

ვრცლად იქნა გაშუქებული ჩვენი მოვალეობანი და ამოცანები, რის შესახებ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია. მოსმენილი იქნა აგრეთვე მოხსენება დისციპლინისა და მისი დაცვის შესახებ.

ერთ კომკავშირელ ამხანაგს, ლეჟავას, რომელიც ხშირად არღვევდა დისციპლინას, კრებამ გამოუცხადა გაფრთხილება.

კავშირის ლიტერატურის გავრცელების მიზნით უჯრედმა გამოიწერა ყოველთვიურად ხუთი ცალი გაზ. „კომუნისტი", 2-რი ცალი ჟურნალი „აქტივისტი" და ერთი ცალიც ჟურნ. „Красные всходы".

ჟურნალ-გაზეთების გამოწერაში ჩვენმა უჯრედმა გამოიწვია სკოლის 1, 2 და მესამე უჯრედები.

სამხკორი გ. კვირკველია.

## უცხოეთის არმიებში

**როგორ იარაღდება სამხრეთ სლავია.**

ამ ჟამად სლავიის არმია იმყოფება რეორგანიზაციის პერიოდში. განზრახულია არმიის გადიდება 20 დივიზიამდე. ოთხი ახალი დივიზიები შეადგენენ ახალ მეხუთე არმიას. მობილიზაციის შემთხვევებში სამხრეთ სლავიას ეყოლება თავის განკარგულებაში 40 პირველი გაწვევის დივიზიები და 10 მეორე გაწვევის. ცოტა გაძნელებული იქნება მეთაურთა შემადგენლობის შევსება.

სამხრეთ სლავიაში გაცხოველებული მუშაობენ ავიაციის შესაქმნელად. საფრანგეთიდან მიღებულ იქნა 150 ჰაეროპლანები. ეს აპარატები პირველ რიგში გამოყენებული იქნებიან სამხედრო მიზნებისათვის. დაარსებულ იქნენ რამოდენიმე საავიაციო სკოლები.

სამხრეთ სლავია გაცხოველებული მუშაობს აგრეთვე საზღვაო ფლოტის შესაქმნელად. სანაპირო გამაგრების გადა ამ ფლოტს ექნება აგრეთვე თავდაცვის დანიშნულება. ქალაქ კატარო იქნება სამეფოს მთავარი ნავთსადგური. საზღვაო ფლოტი ექვემდებარება სამხედრო სამინისტროს; გემების შესაკეთებელი ქარხანა იმყოფება ტერდოში. ოფიცერთა შემადგენლობა მთლიანად და უნცროს მეთაურთა კი ნაწილობრივ შედგება ყოფილი ავსტრო-უნგრეთის ჯარის ოფიცრებიდან. საზღვაო ფლოტში ამ ჟამად ითვლება 100—150 ოფიცრამდე და ორი ათასამდე უნცროსი მეთაურები, ფლოტი შესდგება ყოფილი ავსტრიის და გერმანიის გემებისაგან, ნაღმოსნებისა და სამოსწავლო ხომალდებისაგან, რომლებსაც არა აქვთ იმდენად დიდი მნიშვნელობა. განზრახულია შეუდგენ გამანადგურებელთა წყალქვეშა ნავისა, ნაღმ გადამლობისა და ორი კრისერის აგების—როგორც გაღებული იქნება ამისთვის საჭირო თანხები.

**გაწვევამდე მომზადება ჩეხოსლოვაკიაში.**

ჩეხო-სლოვაკიაში ყოველწლიურად სამხედრო მომზადებას ღებულობს 150.000 კაცამდე. სამხედრო მომზადება სავალდებულოა ყველასათვის 19—20 წლამდე და აგრეთვე იმ სამხედრო ვალდებულთათვის, რომელთა გაწვევა გადადებულ იქნა დროებით. ასეთი მრავალრიცხოვანი ხალხის მომზადებისათვის შექმნილია შესაფერი სამხედრო აპარატი, საუკეთესო სამხედრო ხელმძღვანელებისაგან.

## ამხ. ამხ. სამხკორებო, მოგვაწოდეთ წერილები თქვენი ნაწილების ცხოვრებიდან.

## ამბები სოფლებიდან.

**სამხედრო კუთხეები სოფლად.**

სოფ. ტყვიავში (გორ. მაზ.) კეცხოველის სახელობის კლუბთან მოეწყო სამხედრო კუთხე.

**მეთამბაქოება.**

ახალ ციხის ალმასკომი ახდენს თამბაქოს სათეს მიწების გამოკვლევას.

**საბჭოთა არჩევნებისათვის.**

ახალ ქალაქის ალმასკომმა დაადგინა საბჭოთა არჩევნებისათვის წინასწარი მზადების კამპანია ჩაატაროს 1-ლ დეკემბრამდე.

**ნადის გადახალისება.**

ზესტაფონის ინვალიდთა ნადი „ინვალიდთა კოოპერატივი" გადახალისდა და ეწოდა „ინვალიდთა გაერთიანება.

**სოფ. კიცხში.**

(შორ. მაზ.) სათემო ალმასკომი აწყობს სავაჭრო მოედანს სადაც უქმე დღეებში გაიმართება ბაზრობა.

## ახალი ამბები.

— წითელი ჯარის თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა გამოფენისათვის, რომელიც გაიხსნება მოსკოვში, ქართულ ნაწილებში შეუდგენ შესაფერის სამზადისს.

— ნაწილებთან არსებულ პოლიტსაგანმანათლებლო კაბინეტებთან ეწყობა ამიერ-კავკასიის შემსწავლელი კუთხეები.

— „საქართველოს მარგანეცის" საზოგადოებამ ქიათურის კონცესიის დადებიდან დღემდე საზღვარ-გარეთ გაიტანა 6.200.000 ფ. შავი ქვა.

— აფხაზეთის თამბაქო. წელს აფხაზეთში შეგროვილია 350 ათასი ფუთი თამბაქო.

— რადიო. ამ.-კავკასიის სახკომსაბჭომ დაამტკიცა რადიო-მოყვარულთა საზოგადოების წესდება.

— ქაღალდის შემოტანა. გასული წლის განმავლობაში საქართველოში შემოტანილ იქნა 475 ათასი ფუთი ქაღალდი.

— გლეხების სამკურნალოთ მიმდინარე შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის საზამთრო კურორტებზე გადასდო 240 ადგილი.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ახალი წყალქვეშა ნაღმი.**

საფრანგეთში ამ უკანასკნელად გამოიგონეს ახალი თვით მოძრავი წყალქვეშა ნაღმი. ნაღმი მოძრაობაში მოდის პაწია ელექტრო მატორის საშვალებით. მატორისათვის საჭირო ენერგია იმყოფება თვით ნაღმში მოთავსებულ აკუმულიატორებში (აკუმულიატორი ისეთი ხელსაწყოა, რომელშიდაც იმყოფება ელექტრონული ენერგიის მარაგი). ძველი ტიპის თვითმოძრავი ნაღმები მოძრაობაში მოდიოდენ შეკუმშული ჰაერის საშვალებით. ნაღმის წყალში მოძრაობის დროს ჰაერი ამოდიოდა წყლიდან პაწია ბურთულების სახით. ამიტომ ყოველთვის შესაძლებელი იყო შეემჩნიათ იმ გემიდან ნაღმი, რომლის წინააღმდეგაც ის იყო გაშვებული. ახალი ელექტრონული ნაღმი არავითარ კვალს არ სტოვებს მოძრაობის დროს წყლის ზედაპირზე. სწორედ ამიტომ ის ძლიერ საშიში იარაღია საზღვაო ომში. ახალი თვითმოძრავი ნაღმის მოქმედების მანძილი უდრის 15 ვერსზე მეტს.

## პასუხი შეკითხვებზე.

**წ. ა. ნ—ძეს.** წ. არმიელებს არ შეუძლიათ იყვნენ კავშირის წევრებათ. სამსახურის გათავების შემდეგ პირველ რიგში მიგიღებენ.

**ვეფხაძეს.** მოკლე ვადიან შვებულებისთვის მიმართეთ თქვენს უფროსს.

**მერცხალაშვილს.** ქართულ ჯარში სწავლება სწარმოებს ქართულ ენაზე.

**აბესაძეს.** სამსახურის გათავების შემდეგ შეგიძლიათ, რასაკვირველია, კურსებზე შესვლა. ეხლაც შეგიძლიათ უფროსის ნებართვით.

**№—ს.** როგორც ასეულის გადამწერს, ჯამაგირი გეკუთვნით შტატით დადებული.

**მ—ს.** საბუღალტერიო კურსებზე შეგიძლიათ სიარული თქვენი უფროსის ნებართვით.

**ფოთელს.** ნებით დაქირავებული მამასახლისი სარგებლობს მეთაურის უფლებებით.

**კურსანტს.** გრძელი და განიერი ტანსაცმელის გადაკეთება შეგიძლიათ დადებულ ფორმის შეუცვლელად.

**თირელს.** ლეგიონიდან ლენინგრადში კურსებზე მივლინებულ ბიბგამგეს დაბრუნების შემდეგ მიეცემა ადგილი.

**ჯორბენაძეს.** ერთი ძმის მაგივრად მეორეს ძმას არ შეუძლია სამსახურის მოხდა. თუ ასეთ რამეს ჰქონდა ადგილი მიმართეთ სამხედრო პროკურორს.

**კონტუაძეს.** მიწის საკითხის შესახებ უნდა მიმართოთ მაზრაში არსებულ მიწის კომისიას.

**მარტინელს.** ავადმყოფობის შესამოწმებლად უნდა მიმართოთ ლეგიონის ექიმს.

**ჰყონიას.** თუ შეცდომით ხართ კადრში ჩარიცხული, თქვენი უფროსის საშუალებით მიმართეთ ტერ სამმართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას.

**გ—ძეს.** მაზარას აქვს ორი წლის ტარების ვადა. თუ ერთმა ნაწილმა მიიღო და მეორემ არა, სჩანს რომ მათ მაზარას გათავებია ტარების ვადა.

**მ. გ.** მოხალისეები წითელ ჯარში არ მიიღებიან.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ელისოს.** (2-ლე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „მეორე ლეგიონის მეორე ათასეული" ძლიერ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ბარათაშვილს** (1-ლი არტლეგ.) კორესპონდენცია „მფრინავი ბატარეია" არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. შუტუს** თქვენი ლექსი „დიდი ბელადის ხსოვნა" არ გამოდგა.

**ამხ. ბურდელაძეს** (მეორე ლეგიონი) თქვენი წერილი ოქტომბრის რვა წლის თავისთვის დაგვიანების გამო არ იბეჭდება.

**ამხ. ჩაკაბესიას.** თქვენი ლექსი ოქტომბერზე არ გამოდგა.

**სამხკორების საყურადღებოთ.** დაგვიანებულად მიღებულ წერილები ოქტომბრის 8-წლის თავზე და ფრუნზეს გარდაცვალების შესახებ არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთ. მეთაურთა სკოლის მე-3 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. დარჩია ვარლამ ნიკოლოზის-ძეს (ქუთაისის მაზ. ქალ. ქუთ. მცხოვრები). 2. ამაშუკელი პეტრე სამსონის-ძეს (შორაპნის მაზრის სოფ. ამაშუკეთში მცხოვრები). 3. მაკაცარიშვილი ვლადიმერ ივანეს ძეს (გორის მაზრის სოფ. მარანაშის მცხოვრები). აღნიშნული ამხ. ამხ. უპარტიოებია.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათ შესახებ კომპარტიაში მიღების შესახებ გვაცნობეთ ქართულ მეთაურთა სკოლის მე-3 კომუჯრედში.

კომუჯრედის ბიურო.

მე-3-მე ქართულ მსრ. ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1. პატარაია სერგო ალექსის ძეს (ოზურგეთის მაზრისა სოფ. ჩიბათი), 2. ბურჯანაძე შალვა ტარასის-ძეს (ქუთაისის მაზრის სოფ. გორა). 3. სულაძე არჩილი ნიკოლოზის ძე (რაჭის მაზრის სოფ. ზხივანა). 4. შენგელია სილოვან კონსტანტინეს-ძეს (სენაკის მაზრის სოფ. ქოლობანი). 5. ბიკაშვილი ფიფო გეგენის-ძე (სიღნაღის მაზრა სოფ. მირზაანი). 6. კისიევი ვასილი გაბოს-ძეს (სოფ. ხელხოშიდან ცხინვალის მაზრა). 7. ირემაშვილი ალექსი სტეფანეს-ძეს (გორის მაზრიდან სოფ. კავთისხევი).

ლეგ. ბიურო-კოლექტივი სთხოვს ყველას გვაცნობოთ მათ შესახებ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ერთი კვირის განმავლობაში მე-3 ქართ. მსრ. ლეგიონის ბიურო კოლექტივში.

ბ. კ. მდივანი ი. ბალათურია.

## მეხუთე ლეგ. ბიურო-კოლექტივის მდ. ამხ. სხვიტარიძის საყურადღებოთ.

ლეგიონიდან გრძელვადიანი საქმეები არა სჩანს. კრებებს შვებულებაში გაშვების დროს პარტიულ ამხანაგებს არ წაგვიღია თან ჩვენი პირადი საქმეები. ბიურო კოლექტივი შეგვპირდა მათ გადმოგზავნას. დიდი ხანია მას აქეთ დავდივართ ცეკაში, მაგრამ პირადი საქმეები ვერ ვესწრებით ამის გამო. ვსთხოვთ ამხ. სხვიტარიძეს დააჩქაროს ჩვენი საქმეების გადმოგზავნა.

ყოფილი წითელ არმიელები: ე. ჯანგულოვი, პ. ბედიევი და რ. მანთაშევი.

## განცხადება.

პოლიტკატორღელთა და გადანასახლებთა საზოგადოება მიმართავს ყოფილ ამხანაგებს—კატორღელებსა და გადანასახლებთ მეფის რეჟიმის დროს,—მოგვაწოდონ „კატორღისა და გადასახლების" კუთხის მოსაწყობად რევოლიუციონერების, კატორღისა და საპატიმროების სურათები და სხვა, და აგრეთვე ციხეში ნამუშევარი, როგორც პურიდან, ისე სხვა მასალებიდან.

გარდა ამისა მოგვაწოდონ გადასახლებისა და კატორღის ცხოვრების შესახებ მოგონებანი, რომლებიც მოთავსებულ იქნება საზოგადოების მიერ გამოცემულ კრებულში.

ლენინის ქუჩა
№ 29

საზოგადოების საბჭო.

## ტფილისის გარნიზონის ყველა ქართულ ნაწილების კლუბის უფროსების საყურადღებოთ.

ა. წ. 18 ნოემბერს დილის 10 საათისთვის წითელი არმიის და ფლოტის ბაღში (პლეხანოვის პროსპექტი № 73) დანიშნულია ტფილისის გარნიზონის ყველა ქართულ ნაწილების კლუბის უფროსების თათბირი.

დღის წესრიგშია შემდეგი კითხვებია: 1. წ. ა. ფ. ს. ქართული სექციის საქმიანობა საზაფხულო პერიოდში, 2. სამუშაო პერსპექტივები და 3. მიმდინარე კითხვები.

დასწრება სავალდებულოა.

2 დივპოლიტგანის აგიტპროპის უფროსი ადამაძე.

წ. ა. ფ. ს. ქართულ სექციის გამგე დ. ჰანტურიშვილი.

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.